დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

სტუდენტთა შინაგანაწესი

პრეამბულა

სამედიცინო განათლების სრულყოფის უმთავრესი პირობაა სასწავლო დისციპლინის განმტკიცება, სტუდენტისა და პედაგოგის მიერ მათი უფლება-მოვალეობათა განუხრელი დაცვა.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაში სტუდენტების უშუალო ჩართვასა და მათ აქტიურ მონაწილეობას, სტუდენტური თვითმართველობისა და მისი სხვადასხვა ქვედანაყოფების საქმიანობის (საზოგადოებრივ, საგანმანთლებლო,სამეცნიერო და სხვ.) ხელშეწყობას, მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნას, საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობას, სტუდენტის ცოდნის სამართლიან შეფასებას.

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი განსაზღვრულია სასწავლებლის სტრატეგიული გეგმით და იგი ეფუძნება “დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ორგანიზებისა და მართვის” დებულებას.

უმაღლესი სასწავლებლის შინაგანაწესი სასწავლო და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისა და მაღალი ხარისხის საშემსრულებლო კულტურის უზრუნველყოფის საფუძველია.

ამიტომ, დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ გამოიყენება ზემოქმედების დისციპლინური ზომები.

1. **სტუდენტს უფლება აქვს:**

1.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება;
1.2 მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევებში და კონფერენციებში;
1.3 ისარგებლოს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო ბაზით და სხვა საშუალებებით;
1.4 მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციების მუშაობაში;
1.5 მოიპოვოს უმაღლეს სასწავლებელში დაცული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია;
1.6 საქართველოს კანონმდებლობისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები.
1.7 პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება.

2. **სტუდენტი ვალდებულია:**

2.1 საფუძვლიანად დაეუფლოს არჩეულ სპეციალობაში თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ ჩვევებს, კვლევის თანამედროვე მეთოდებს;
2.2 თვალყური ადევნოს და იხელმძღვანელოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ბრძანებებით/მითითებებით/განკარგულებებით;
2.3 დროულად და სრულად შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები;
2.4 განუხრელად დაიცვას უნივერსიტეტის რეგულაციები.

3. **სტუდენტთა წახალისების სახეები**

3.1 უნივერსიტეტის სტუდენტთა წახალისება ხდება მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისათვის, გამორჩეული აკადემიური მოსწრებისათვის, უნივერსიტეტის სახელით კულტურულ და სამეცნიერო ღონისძიებებში წარმატებების მიღწევისათვის;

3.2 წახალისების სახეებია:

3.2.1 მადლობის გამოცხადება;

3.2.2 ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

3.2.3 სასწავლო წლის საუკეთესო სტუდენტის ტიტულის მინიჭება;

3.2.4 სწავლის შედეგების მიხედვით სწავლების ღირებულების გადახდის შეღავათები;

3.2.5 სწავლის შედეგების შესაბამისად სტიპენდიის დანიშვნა (იხ. დავით ტვილდიანის სახლეობის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ დებულება)

3.3 წახალისება ცხადდება რექტორის ბრძანებით სტუდენტის პირად საქმეში შეტანით .

4. **სტუდენტთა ქცევის საერთო წესები:**

4.1 სტუდენტთა ქცევის საერთო წესების დარღვევად ითვლება:

4.1.1 დაგვიანება ლექცია/პრაქტიკულზე, გამოცდაზე და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე.

4.1.2 უნივერსიტეტში გამოცხადება გარეგნულად მოუწესრიგებელი სახით, ჰიგიენის ნორმების დაუცველად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი “სტუდენტთა ჩაცმულობის სავალდებულო ნორმის” შეუსაბამოდ.

4.1.3 სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (სასწავლო პროცესის ხელისშეშლად ჩაითვლება: ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით, კომპიუტერითა და სხვა პირადი ხასიათის ტექნიკური საშულებებით სარგებლობა ლექტორის ნებართვის გარეშე, გამომსვლელი სტუდენტისათვის ხელის შეშლა, არათემატური შეკითხვების დასმა ლექციის/პრაქტიკულის მიმდინარეობისას, პედაგოგის ნებართვის გარეშე შეკითხვის დასმა, თვითნებურად აუდიტორიის დატოვება ან დაგვიანებით აუდიტორიაში შესვლა, ლექციის მსვლელობისას სხვა ლიტერატურის კითხვა ან სხვა საგნისათვის მომზადება, სასწავლო აუდიტორიაში რაიმე სახის საკვების შეტანა (ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამონაკლისი შემთხვევების გარდა), დერეფანში აურზაური და სხვა).

4.1.4 მოწევა დაწესებულების შენობაში;

4.1.5 აზარტული თამაშები;

4.1.6 ბილწსიტყვაობა;

4.1.7 ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცყოფის მიყენება სხვისთვის;

4.1.8 აკადემიური, ადმინისტარციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლების მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა.

4.1.9 უნივერსიტეტის ქონების დაზიანება (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯის და ინვენტარის დაზიანება);

4.1.10 უნივერსიტეტის ტერიტორიის, აუდიტორიების დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება და ნარგავების დაზიანება;

4.1.11 უნივერსიტეტში ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

4.1.12 ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხის შემცველი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა ან/და გავრცელება;

4.1.13 ნარკოტიკული და /ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება ან გამოყენება;

4.1.14 ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შემოტანა და/ან გავრცელება;

5. სტუდენტის მიმართ დისციპლინარული დევნა

5.1 სტუდენტის მიმართ დისციპლინარული დევნა უნდა იყოს დისციპლინარული გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ დოკუმენტთა და უნივერსიტეტის ეთიკის ნორმებით;

5.2 სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა დაწესებულების დებულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯამრთელობის, დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის დისციპლინური დევნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

5.3 სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

5.4 დისციპლინარული პასუხისმგებლობა გამოიყენება უნივერსიტეტის სტუდენტების მიმართ დაწესებულების ტერიტორიაზე ან/და იმ სამედიცინო დაწესებულებების ტერიტორიაზე, სადაც ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე გადიან პრაქტიკულ მეცადინეობებს, დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

5.5 სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

5.5.1 სტუდენტს შეიძლება მიეცეს ზეპირი გაფრთხილება/საყვედური;

5.5.2 სტუდენტმა შეიძლება მიიღოს წერილობითი გაფრთხილება/საყვედური პირად საქმეში შეტანით;

5.5.3 სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სასწავლებელში ლექცია/პრაქტიკუმებზე დასწრების უფლება;

5.5.4 სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი.

5.5.5 სტუდენტს შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

6. სტუდენტთა საერთო ქცევის წესების დარღვევისათვის სანქციები

6.1 სტუდენტთა საერთო წესების 4.1.1.-4.1.11 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება მიეცეს:

6.1.1 პირველ ჯერზე - ზეპირი გაფრთხილება/საყვედური;

6.1.2 განმეორებით შემთხვევაში - წერილობითი გაფრთხილება/საყვედური პირად საქმეში შეტანით;

6.1.3 მესამე და მეტი შემთხვევის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს შეეზღუდება ლექციებზე/პრაქტიკუმებზე დასწრების უფლება გარკვეული ვადით.

6.2 სტუდენტთა საერთო წესების 4.1.12-4.1.14. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევებისათვის :

6.2.1 პირველ ჯერზე - სტუდენტს მიეცემა წერილობითი გაფრთხილება/საყვედური პირად საქმეში შეტანით და ფაქტის შესახებ, კანონით გათვალისწინებული წესით შეტყობინებული იქნება სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

6.2.2 განმეორებით შემთხვევაში - სტუდენტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.